

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაცია

თავი I.

ფედერაციის სტატუსი; ფედერაციის მიზნები

მუხლი 1. ფედერაციის ფედერაციულ-სამართლებრივი ფორმა. სახელწოდება

1. წინამდებარე აქტი წარმოადგენს კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის (შემდგომ ტექსტში - „ფედერაცია“) წესდებას;
2. ფედერაციის სახელწოდებაა: საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაცია.
3. ფედერაციის სახელწოდება ინგლისურად: Athletics National Federation of Georgia;
4. ფედერაცია წარმოადგენს საქართველოს მძლეოსნობის ინტერესებს საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში, მძლეოსნობის ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაციაში (IAAF), ევროპის მძლეოსნობის ასოციაციაში (EA), სხვა ეროვნულ და საერთაშორისო ორგანიზაციებში.

მუხლი 2. ფედერაციის იურიდიული მისამართი, ფედერაციის ხანგრძლივობა

1. ფედერაციის იურიდიული მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი N49 ბ, ქ. თბილისი, საქართველო.
2. ფედერაცია შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.
3. ფედერაციის ელ. ფოსტა: geoathletics@yahoo.com; info@geoathletics.ge; geo@iaaf.ge

მუხლი 3. ფედერაციის ბეჭედი და დოკუმენტები

1. ფედერაციას შეიძლება ჰქონდეს ბეჭედი.
2. ფედერაციის ბეჭდის დამზადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფედერაციის გამგეობა, რომელიც ადგენს ბეჭდის ზომებსა და სხვა რეკვიზიტებს.
3. ფედერაციის მიერ გაცემულ დოკუმენტებზე, ან ფედერაციის მიერ ხელმოწერილ სხვა დოკუმენტებზე ფედერაციის ბეჭდის არსებობა ან არარსებობა არ წარმოშობს რაიმე სამართლებრივ შედეგებს და მას აქვს მხოლოდ დამატებითი დაცვითი ფუნქცია. დოკუმენტების ნამდვილობისათვის გადაწყვეტა ფედერაციის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის ხელმოწერა.
4. ფედერაციის მიერ გაცემულ ყველა დოკუმენტზე (წერილზე) უნდა მიეთითოს:
 - 4.1. ფედერაციის სრული სახელწოდება;
 - 4.2. ფედერაციის იურიდიული მისამართი;
 - 4.3. ფედერაციის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირების თანამდებობა, მათი სახელი და გვარი.
5. ლიკვიდაციის პროცესში ყოფნის შემთხვევაში დოკუმენტზე დამატებით უნდა მიეთითოს, რომ მიმდინარეობს ფედერაციის ლიკვიდაციის პროცესი, აგრეთვე ლიკვიდატორის ვინაობა.

მუხლი 4. ფედერაციის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

1. ფედერაცია მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის, წინამდებარე წესდების, მძლეოსნობის ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაციის (IAAF) და ევროპის მძლეოსნობის ასოციაციის (EA) ნორმატიული აქტებით.

მუხლი 5. ფედერაციის მიზნები და საქმიანობა

1. ფედერაციის მიზანია:
 - 1.1. საქართველოში მძლეოსნობის განვითარება;
 - 1.2. სპორტსმენ მძლეოსანთა პროფესიული მომზადების სისტემის სრულყოფა;

- 1.3. საქართველოს მძლეოსანთა ეროვნული ნაკრების გუნდის ფორმირება და მონაწილეობის მიღების უზრუნველყოფა შეჯიბრებებში (ოლიმპიური თამაშები, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები, სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებები);
- 1.4. საქართველოს ჩემპიონატებისა და სხვადასხვა დონის შეჯიბრებების ჩატარება;
- 1.5. მოქმედი და ვეტერანი მძლეოსნების, მძლეოსნობის მწვრთნელებისა და ექიმების სოციალური დაცვა;
- 1.6. მძლეოსნობაში ეროვნული რეკორდების რეგისტრაცია და დამტკიცება.
2. ფედერაცია შეიძლება ეწეოდეს ნებისმიერი სახის საქმიანობას, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, მძლეოსნობის ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაციის (IAAF) წესდებებს, ევროპის მძლეოსნობის ასოციაციის (EA) წესდებებს და რომელიც პირდაპირ და/ან არაპირდაპირ ემსახურება ფედერაციის მიზნის განხორციელებას.
3. სამეწარმეო ხასიათის საქმიანობას ფედერაციისათვის შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ დამხმარე ხასიათი და ამგვარი საქმიანობით მიღებული ყველა შემოსავალი უნდა მოხმარდეს მხოლოდ ფედერაციის მიზნების მიღწევას.

მუხლი 6. ფედერაციის ურთიერთობა მძლეოსნობის საერთაშორისო ორგანოებთან

1. მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციებში, მათ შორის, მძლეოსნობის ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაციასა (IAAF) და ევროპის მძლეოსნობის ასოციაციაში (EA) საქართველოს წარმოადგენს მხოლოდ საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაცია.
2. ფედერაციის ნებართვის გარეშე საქართველოს არც ერთ მოქალაქეს უფლება არ აქვს სპორტსმენის, მწვრთნელის, ან სხვა სტატუსით მონაწილეობა მიიღოს მძლეოსნობის ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაციის (IAAF) და ევროპის მძლეოსნობის ასოციაციის (EA) მიერ ორგანიზებულ და სხვა კომერციულ შეჯიბრებებში, კონგრესებსა და სხვა ღონისძიებებში.
3. მძლეოსნობის ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაციას (IAAF) უფლება აქვს ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ნებისმიერ შეჯიბრებაზე ჩაატაროს დოპინგ-კონტროლი.
4. ფედერაცია სავალდებულო წესით იცავს მძლეოსნობის ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაციის (IAAF) და ევროპის მძლეოსნობის ასოციაციის (EA) მიერ დადგენილ წესებს, რომელიც აწესრიგებს სპორტსმენებსა და ფედერაციას შორის ურთიერთობას.
5. ფედერაცია მხარს უჭერს მძლეოსნობის ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაციის (IAAF) და ევროპის მძლეოსნობის ასოციაციის (EA) ბრძოლას დოპინგის წინააღმდეგ და იღებს მძლეოსნობის ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაციის (IAAF) და ევროპის მძლეოსნობის ასოციაციის (EA) ყველა ნორმატიულ აქტს, რაც დაკავშირებულია დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლასთან.

თავი II.

დამფუძნებლები; ფედერაციის წევრობა

მუხლი 7. ფედერაციის დამფუძნებლები

1. ფედერაცია არის წევრობაზე დაფუძნებული იურიდიული პირი.
2. ფედერაცია დაფუძნებულია კრების მიერ 2000 წლის 5 ნოემბერს, (ოქმი N1) დამფუძნებლები:
 - 2.1. თამაზ მდინარაძე;
 - 2.2. ყარამან საბანაშვილი;
 - 2.3. ნოე ლობჯანიძე;
 - 2.4. რევაზ ტრაპაიაძე;
 - 2.5. ბაგრატ მექვაბიშვილი.

მუხლი 8. ფედერაციის წევრობა

1. ფედერაციის წევრი შეიძლება იყოს სპორტის შესაბამის სახეობასთან თავისი საქმიანობით (არანაკლებ 2 წლისა) დაკავშირებული შემდეგი სუბიექტი:
 - 1.1. ფიზიკური პირი: მძლეოსნები, ვეტერანი მძლეოსნები, მძლეოსნობის სფეროში დასაქმებული ექიმები და მძლეოსნობის მომსახურე სხვა პერსონალი, გამგეობის წევრები - თანამდებობრივად;
 - 1.2. იურიდიული პირი, კერძოდ:
 - 1.2.1. სპორტული კლუბი/იურიდიული პირის სტატუსის მქონე სპორტული გუნდი;
 - 1.2.2. რეგიონული ფედერაცია, რომელიც დაფუძნებულია ფედერაციისა და მისი ხელმძღვანელობისაგან დამოუკიდებლად და ფედერაციაში გაწევრიანდა ამ მუხლით დადგენილი წესით;
 - 1.2.3. სპორტის სახეობასთან დაკავშირებული ორგანიზაცია (მაგ.: ფედერაციაში შემავალი ცალკეული სახეობების ასოციაცია, სპორტის სახეობასთან დაკავშირებული პირების (სპორტსმენები, მწვრთნელები, მსაჯეები) კავშირი, სპორტის სახეობაში მომუშავე ორგანიზაცია/გაერთიანება/კომიტეტი, მათ შორის, მუნიციპალიტეტის სპორტის მიმართულების ა(ა)იპ, რომელიც ფუნქციონირებს ფედერაციაში შემავალი სახეობების მიმართულებით).
2. ფედერაციის მიერ დაფუძნებული ფილიალი, რეგიონული ფედერაცია ან სხვა ორგანიზაციული დანაყოფი ფედერაციის წევრი არ არის.
3. იურიდიულ ან ფიზიკურ პირს ფედერაციის წევრად იღებს გამგეობა.
4. ფედერაციაში გაწევრიანების მსურველი პირი განცხადებით მიმართავს გამგეობას, რომელიც მომდევნო სხდომაზე (არაუგვიანეს 1 თვისა) განიხილავს გაწევრიანების შესახებ განცხადებას და იღებს გადაწყვეტილებას. ეს წესი არ ეხება ფედერაციის არსებულ (უკვე გაწევრიანებულ) წევრებს, რომლებიც ასეთად ირიცხებოდნენ წესდების ამ რედაქციის ამოქმედებამდე.
5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში გამგეობის მიერ პასუხის გაუცემლობა ჩაითვლება ფედერაციაში გაწევრიანებაზე უარის ტოლფას გადაწყვეტილებად.
6. ფედერაციაში გაწევრიანებაზე უარი საჩივრდება სასამართლოში.
7. დაუშვებელია ფედერაციაში ახალი წევრების მიღება ფედერაციის პრეზიდენტის/პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების ამოწურვამდე 6 თვის განმავლობაში. განსაკუთრებულ შემთხვევაში, გამგეობის დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე, მოცემული 6 თვის განმავლობაში ფედერაციაში შესაძლებელია მიღებულ იქნეს ახალი წევრი იმ დათქმით, რომ ახალ წევრს ხმის მიცემის უფლება არ ექნება ფედერაციის პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებზე.
8. ფედერაციის წევრს უფლება აქვს:
 - 8.1. მიიღოს მონაწილეობა ფედერაციის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში, ფედერაციის გეგმების, პროგრამების, პროექტებისა და სხვა ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაში;
 - 8.2. აირჩიოს და არჩეულ იქნეს ფედერაციის მმართველ ან მაკონტროლებელ ორგანოებში წესდებით განსაზღვრული პროცედურის გათვალისწინებით;
 - 8.3. დაასახელოს ასარჩევ პირთა კანდიდატურები;
 - 8.4. ფედერაციის მიზნების მისაღწევად ისარგებლოს ფედერაციის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით.
9. ფედერაციის წევრი მოვალეა:
 - 9.1. დაიცვას ფედერაციის წესდება;
 - 9.2. შეასრულოს მმართველი ორგანოების გადაწყვეტილებები;
 - 9.3. პროპაგანდა გაუწიოს ფედერაციის მიზნებს;
 - 9.4. არ გაახმაუროს ფედერაციის საქმიანობასთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია.
 - 9.5. გადაიხადოს საწევრო, თუ საწევროს გადახდის ვალდებულებას დაადგენს ფედერაციის ყრილობა.
10. ფედერაციის წევრს უფლება არა აქვს, ფედერაციიდან გასვლის ან გარიცხვის შემთხვევაში მოითხოვოს მის მიერ გადახდილი საწევროს უკან დაბრუნება (კომპენსაცია), ან განაცხადოს რაიმე პრეტენზია ფედერაციის ქონებაზე.

11. ფედერაციის წევრობა არ გადაეცემა მემკვიდრეობით.
12. ფედერაციის შეიძლება ჰყავდეს საპატიო პრეზიდენტები. საპატიო პრეზიდენტად შეიძლება დასახელდეს პირი რომელსაც ეკავა პრეზიდენტის თანამდებობა ფედერაციაში და განსაკუთრებული წვლილი შეიტანა მძლეოსნობის განვითარებაში. საპატიო პრეზიდენტს აქვს ფედერაციის გამგეობის სხდომებში მონაწილეობის, ყრილობაზე დასწრების და რეკომენდაციების მიცემის უფლება.
13. ფედერაციის შეიძლება ჰყავდეს საპატიო წევრები. საპატიო წევრად მიიღება ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელსაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ფედერაციის ძირითადი მიზნების განხორციელებაში, ან აქტიურად თანამშრომლობს ფედერაციასთან, ან სხვა ფორმით ემსახურება ფედერაციის მიზნების განხორციელებას. ფედერაციის საპატიო წევრებს არ აქვთ ფედერაციის წესდებით დადგენილი უფლება-მოვალეობები.
14. ფედერაციის წევრის გასვლა (გარიცხვა) არ იწვევს ფედერაციის გაუქმებას გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფედერაციაში არ დარჩება არცერთი წევრი. იმ შემთხვევაში, თუ ფედერაციაში არ დარჩა არცერთი წევრი, ამ მდგომარეობის წარმოშობის მომენტიდან გონივრულ ვადაში ფედერაციის გამგეობა ვალდებულია დაიწყოს ფედერაციის ლიკვიდაციის პროცესი.
15. წევრს სტატუსი გაუქმდება და გაირიცხება ფედერაციის წევრობიდან, თუ:
 - 15.1. ის დაარღვევს საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციისადმი ნაკისრ ვალდებულებებს.
 - 15.2. ის დაარღვევს ფედერაციის, EA და IAAF წესდებებს, დებულებებს, დირექტივებს და გადაწყვეტილებებს.
16. წევრს შეუძლია გავიდეს ფედერაციის შემადგენლობიდან, რის შესახებაც იგი დაზღვეული წერილით აცნობებს ფედერაციას სულ მცირე 6 თვით ადრე; წევრობიდან გასვლა ძალაში არ შევა, მანამ, სანამ გასვლის მსურველი წევრი, ფედერაციისა და მისი წევრების წინაშე არ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს.

მუხლი 9. ფედერაციის წევრთა რეესტრი

1. ფედერაციის წევრები უნდა აღირიცხონ ფედერაციის წევრთა რეგიონული ფედერაციების რეესტრში და ეროვნულ რეესტრში.
2. გამგეობამ უნდა აწარმოოს ფედერაციის წევრთა ელექტრონული რეესტრი, რომელიც განთავსდება ფედერაციის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომი იქნება ფართო საზოგადოებისთვის.

თავი III.

ფედერაციის მმართველი ორგანოები

მუხლი 10. ფედერაციის წევრთა ყრილობა

1. საერთო კრება (ყრილობა) შედგება დელეგატებისაგან. დელეგატები ფედერაციის წევრები არიან, ამ მუხლით დადგენილი დათქმების გათვალისწინებით. ყველა დელეგატი თანასწორია, განურჩევლად იურიდიული სტატუსისა.
2. ფიზიკურ პირ წევრთა რაოდენობის მიუხედავად, საერთო კრების (ყრილობის) დელეგატთა არანაკლებ სამ მეოთხედს ფედერაციის წევრი იურიდიული პირები უნდა წარმოადგენდნენ, „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ნ“ პუნქტის შესაბამისად.
3. ფიზიკური პირების საერთო კრების (ყრილობის) დელეგატებად არჩევისას უპირატესობა უნდა მიენიჭოთ საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდების წევრებსა და მათ მწვრთნელებს, ხოლო კონკურენციის შემთხვევაში კი, გათვალისწინებულ უნდა იქნეს სპორტული შედეგები.
4. საერთო კრებაში (ყრილობაში), იურიდიული პირი წევრის სახელით მონაწილეობას იღებს მის მიერვე განსაზღვრული წარმომადგენელი, რომელმაც უნდა წარმოადგინოს საერთო კრებაში (ყრილობაში) მონაწილეობის შესახებ უფლებამოსილების დოკუმენტი.

5. საერთო კრებაზე (ყრილობაზე) ფედერაციის წევრის მიერ სხვა წევრისთვის ხმის უფლების დელეგირება დაუშვებელია.
6. საერთო კრებაზე (ყრილობაზე) კენჭისყრისას ფედერაციის ხმის უფლების მქონე ყოველ დელეგატს (ფიზიკურ და იურიდიულ პირებს) აქვთ თითო ხმა. დაუშვებელია, რომელიმე დელეგატის ხმისათვის უფრო მეტი წონის ან სხვა პრივილეგიის მინიჭება სხვა დელეგატებთან მიმართებაში.
7. საერთო კრებაზე (ყრილობაზე) გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით, გარდა წესდებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, რომელიც შეიძლება შეეხებოდეს თავად წესდების დამტკიცებას/ცვლილების შეტანას, ან ფედერაციის რეორგანიზაცია/ლიკვიდაციას.
8. საერთო კრება (ყრილობა) ტარდება ნოტარიუსის მონაწილეობით, რომელიც საჯარო სამართლებრივი აქტით აფორმებს კრების ოქმს.
9. გამგეობის სხდომის ოქმით განისაზღვრება ყრილობაში მონაწილე გამგეობის წევრთა რიცხოვნობა წევრი იურიდიული პირების მიერ წარმოდგენილი დელეგატების რიცხვის შესაბამისად, ამ მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული პროპორციის ფარგლებში.

მუხლი 11. ყრილობის კომპეტენცია

1. ფედერაციის ყრილობას უფლება აქვს, გადაწყვიტოს ყველა ის საკითხი, რომელიც არ შედის გამგეობის კომპეტენციაში.
2. ყრილობის კომპეტენციაა:
 - 2.1. ფედერაციის წესდების დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა;
 - 2.2. ფედერაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების, გეგმებისა და მიზნობრივი პროგრამების დამტკიცება;
 - 2.3. ფედერაციის საქმიანობის წლიური შედეგების დამტკიცება;
 - 2.4. ფედერაციის გამგეობის წევრების, მათ შორის, გამგეობის თავმჯდომარისა (ფედერაციის პრეზიდენტის), მისი პირველი მოადგილის (ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტის), მოადგილის (ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი) არჩევა, მათი გათავისუფლება. აგრეთვე ერთი ვიცე-პრეზიდენტისა და გენერალური მდივნის დამტკიცება.
 - 2.5. საპატიო პრეზიდენტის წოდებას, გამგეობის რეკომენდაციით, ანიჭებს ყრილობა;
 - 2.6. ფედერაციის დროებითი და მუდმივი კომისიების (მათ შორის, სარევიზიო კომისია) შექმნა და მათი ლიკვიდაცია, კომისიის დებულების დამტკიცება;
 - 2.7. გამგეობის წევრების შრომის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტა.
 - 2.8. ფედერაციის საწევრო შენატანის ოდენობის დადგენა და გაუქმება; შენატანის ოდენობისა და გადახდის ვადის დადგენა;
 - 2.9. ფედერაციის სპეციალური საკონსულტაციო საბჭოების შექმნა და მათი ლიკვიდაცია;
 - 2.10. ამ წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა საკითხების გადაწყვეტა.

მუხლი 12. ყრილობის მოწვევის პროცედურა

1. ფედერაციის რიგითი საერთო კრება (ყრილობა) მოიწვევა წელიწადში ერთხელ, ხოლო საარჩევნო რიგითი საერთო კრება (ყრილობა) მოიწვევა არაუგვიანეს 4 წელიწადში ერთხელ, პრეზიდენტის უფლებამოსილების ამოწურვის ვადის გათვალისწინებით.
2. საერთო კრების (ყრილობის), მათ შორის, რიგგარეშე საერთო კრების (ყრილობის) მოწვევის უფლება აქვთ:
 - 2.1. ფედერაციის პრეზიდენტს/პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს;
 - 2.2. ფედერაციის გამგეობას;
 - 2.3. ფედერაციის წევრთა არანაკლებ 25%-ს (მხოლოდ რიგგარეშე საერთო კრების (ყრილობის) შემთხვევაში).

3. ყრილობის მოწვევის შესახებ წევრებს უნდა ეცნობოს წერილობით, ელექტრონული ფოსტით ან ფედერაციის ბეჭდვით ორგანოში (მისი არსებობის შემთხვევაში) გამოქვეყნებით ყრილობამდე ათი დღით ადრე მაინც. საარჩევნო ყრილობის შემთხვევაში წევრებს უნდა ეცნობოს წერილობით, ელექტრონული ფოსტით ან ფედერაციის ბეჭდვით ორგანოში (მისი არსებობის შემთხვევაში) გამოქვეყნებით ყრილობამდე ერთი თვით ადრე მაინც.
4. განსაკუთრებულ შემთხვევაში რიგგარეშე ყრილობის მოწვევისას (გარდა საარჩევნო ყრილობისა) შეიძლება ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ვადა არ იქნეს გათავლისწინებული, ასეთ დროს აუცილებელია წევრების მხრიდან მოწვევის მიღების დადასტურება.
5. იმ დელეგატებს, რომლებიც ვერ ესწრებიან ყრილობას ან იურიდიულ პირებს, უფლება აქვთ კენჭისყრაში მონაწილეობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით.

მუხლი 13. ყრილობის უფლებამოსილება. გადაწყვეტილებათა მიღება

1. ყრილობა უფლებამოსილია, თუ მის მუშაობაში მონაწილეობს წარმოდგენილ დელეგატთა ორ მესამედზე მეტი. თუ ყრილობა არ არის უფლებამოსილი, ერთ თვეში იგივე დღის წესრიგით პრეზიდენტი მოიწვევს განმეორებით ყრილობას, რომელიც უფლებამოსილია, თუ მას ესწრება დელეგატთა ნახევარზე მეტი. თუ ამჯერადაც არ არის ყრილობა უფლებამოსილი, მაშინ ერთ თვეში იმავე პროცედურით მოიწვევა ყრილობა, რომელიც უფლებამოსილია, მიუხედავად დამსწრე დელეგატების რიცხვისა, მაგრამ არანაკლებ დელეგატთა მესამედისა.
2. ყრილობაზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე დელეგატთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ დელეგატთა საერთო რაოდენობის ერთი მესამედისა, ხოლო გადაწყვეტილება ფედერაციის წესდების შეცვლის თაობაზე – დამსწრე დელეგატთა ორი მესამედის უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ დელეგატთა საერთო რაოდენობის ერთი მესამედისა. გადაწყვეტილებათა მიღებისას ერთი მესამედის ქვორუმის დაცვა არ არის საჭირო იმ შემთხვევაში, თუ ყრილობის ქვორუმს შეადგენს დელეგატთა საერთო რაოდენობის ნახევარზე ნაკლები.
3. ხმების თანაბრად გაყოფისას ტარდება ხელახალი კენჭისყრა. თუ ხელახალი კენჭისყრის შედეგად ხმები კვლავ თანაბრად გაიყო, საკითხი უარყოფილად ითვლება.
4. ყველა პერსონალურ საკითხზე ყრილობა გადაწყვეტილებას იღებს ფარული კენჭისყრით, თუ ყრილობა სხვა რამეს არ გადაწყვეტს. სხვა საკითხებზე ყრილობა გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით, თუ ყრილობა სხვა რამეს არ გადაწყვეტს. ფედერაციის პრეზიდენტს ირჩევს ყრილობა მხოლოდ ფარული კენჭისყრით.
5. ყრილობა წარმართება რეგლამენტის შესაბამისად. ყრილობის რეგლამენტს ამტკიცებს ყრილობა.
6. ყრილობის ოქმს ხელს აწერს ყრილობის თავმჯდომარე. იგი პასუხს აგებს ყრილობის ოქმის სიზუსტესა და უტყუარობაზე.
7. კეთილსინდისიერი მესამე პირების მიმართ არსებობს ყრილობის ოქმის უტყუარობისა და კანონიერების პრეზუმფცია.
8. ყრილობები აღირიცხება ფედერაციის ყრილობების აღრიცხვის ჟურნალში. ჟურნალში უნდა მიეთითოს:
 - 8.1. ყრილობის რიგითი ნომერი;
 - 8.2. ყრილობის ჩატარების თარიღი და ადგილი;
 - 8.3. ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მოკლე შინაარსი.
 - 8.4. ჩანაწერის შემსრულებელი პირის ვინაობა და ხელმოწერა.

მუხლი 14. ყრილობის გადაწყვეტილებათა გაუქმება

1. ყრილობის გადაწყვეტილება, რომელიც ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, ფედერაციის მიზნებსა და წინამდებარე წესდებას, შეიძლება გაუქმდეს სასამართლოს ან თვით ყრილობის მიერ ფედერაციის მმართველი ორგანოების, ან ფედერაციის ნებისმიერი წევრის მოთხოვნით.

მუხლი 15. ფედერაციის გამგეობა

1. ფედერაციის გამგეობა (შემდგომში - „გამგეობა“) არის ფედერაციის მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი ორგანო.
2. გამგეობა შედგება 13 (ცამეტი) მუდმივი წევრისაგან, მათ შორის, გამგეობის თავმჯდომარის (პრეზიდენტი), თავმჯდომარის პირველი მოადგილის (პირველი ვიცე-პრეზიდენტი), ორი ვიცე-პრეზიდენტისა (თავმჯდომარის მოადგილეები), და ყრილობაზე არჩეული 9 წევრისაგან.
3. საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც არჩეული იქნება IAAF-ის და ევროპის მძლეოსნობის ასოციაციის საბჭოში ან კომიტეტში, არის იურიდიულად საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის მრჩეველთა საბჭოს ან/და გამგეობის წევრი, ხმის მიცემის უფლებით.
4. გამგეობა ირჩევა საერთო კრების (ყრილობის) მიერ არაუმეტეს 4 წლის ვადით. გამგეობის ყველა წევრის უფლებამოსილება წყდება ფედერაციის პრეზიდენტის/პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების ვადის ამოწურვისთანავე.
5. ერთი და იგივე პირი გამგეობის წევრი შეიძლება იყოს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.
6. პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტ(ებ)ისა და გამგეობის წევრებისთვის შრომის ანაზღაურების გაცემისა და მისი ოდენობის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს საერთო კრების (ყრილობის) მიერ. ამასთან, შრომის ანაზღაურების დაფინანსება არ განხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებიდან ერთზე მეტი ვიცე-პრეზიდენტისა და ცხრაზე მეტი გამგეობის წევრისათვის.
7. გამგეობა უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია გამგეობის თავმჯდომარის ხმა.
8. პრეზიდენტის და პირველი ვიცე-პრეზიდენტის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს არანაკლებ ოთხ რეგიონულ ფედერაციას და/ან კომიტეტს. ერთ რეგიონულ ფედერაციას/კომიტეტს უფლება აქვს მხარი დაუჭიროს მხოლოდ ერთი კანდიდატის წარდგენას, ერთ არჩევით თანამდებობაზე. კანდიდატების რეგისტრაციას აწარმოებს გამგეობა. კანდიდატთა რეგისტრაცია წყდება საარჩევნო ყრილობის ჩატარებამდე ორი კვირით ადრე.
9. ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის და გენერალურ მდივნის კანდიდატურას ასახელებს ფედერაციის ახლადარჩეული პრეზიდენტი და ამტკიცებს ყრილობა (მომდევნო პრეზიდენტის არჩევამდე), ხოლო გამგეობის სხვა წევრებს ასახელებენ დელეგატები, ხოლო მათი არჩევა ხდება მიღებული ხმების რაოდენობის მიხედვით, თანაბარი ხმების მიღების შემთხვევაში მათ შორის მოხდება ხელახალი კენჭისყრა.
10. გამგეობის არჩევითი წევრის გადადგომის, ან უფლებამოსილების სხვაგვარად (გათავისუფლება, ავადმყოფობა, რაც შეუძლებელს ხდის გამგეობის წევრის მოვალეობის შესრულებას) ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ყოველწლიური ყრილობა ირჩევს ახალ წევრს გამგეობის დარჩენილი უფლებამოსილების ვადით.
11. გამგეობის წევრის გათავისუფლება მის მიერ უფლებამოსილების გადამეტების, მოვალეობის შეუსრულებლობის, ან წესდებით გათვალისწინებული მიზნების საწინააღმდეგო ქცევისათვის შეუძლია მხოლოდ ყრილობას.

მუხლი 16. გამგეობის კომპეტენცია

1. გამგეობის კომპეტენციაა:
 - 1.1. ფედერაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების, გეგმების, ბიუჯეტისა და მიზნობრივი პროგრამების პროექტების შემუშავება და წარდგენა ყრილობისათვის;

- 1.2. ფედერაციის კომიტეტების შექმნა და ლიკვიდაცია, კომიტეტების დებულებების დამტკიცება;
- 1.3. საჭიროების შემთხვევაში სამუშაო ჯგუფების შექმნა და ლიკვიდაცია, მათი ხელმძღვანელების დანიშვნა და გათავისუფლება;
- 1.4. გამგეობის მიერ დანიშნულ და არჩეულ პირთა ანგარიშების მოსმენა;
- 1.5. ფედერაციის საპატიო წევრების მიღება;
- 1.6. ფედერაციის მიერ უძრავი ქონების, აქციებისა და წილების შეძენის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- 1.7. იმ ქონების გასხვისების (ან სხვაგვარად განკარგვის) შესახებ გადაწყვეტილების მიღება, რომელთა ღირებულება აღემატება 50 000 (ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარს;
- 1.8. ფედერაციის უძრავი და მოძრავი ქონების ვალდებულებებით დატვირთვა, კრედიტის/სესხის აღება, თავდებობა მესამე პირების სასარგებლოდ და თავდებობის მიღება მესამე პირებისაგან;
- 1.9. ფილიალის (მათ შორის რეგიონული ფედერაციების), არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და სხვა მეწარმე სუბიექტების დაფუძნება და ლიკვიდაცია;
2. გამგეობა უზრუნველყოფს ყრილობის გადაწყვეტილებათა აღსრულებას.
3. გამგეობა ასრულებს აგრეთვე ამ წესდებით დადგენილ სხვა ფუნქციებს.

მუხლი 17. გამგეობის მუშაობის ორგანიზება

1. გამგეობის საქმიანობას ხელმძღვანელობს გამგეობის თავმჯდომარე (ფედერაციის პრეზიდენტი).
2. გამგეობის სხდომებს იწვევს პრეზიდენტი საკუთარი ინიციატივით, ან გამგეობის წევრთა სულ ცოტა ერთი მესამედის მოთხოვნით.
3. გამგეობის სხდომას თავმჯდომარეობს პრეზიდენტი.
4. გამგეობა გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ 7 (შვიდი) ხმით. ხმათა თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია გამგეობის თავმჯდომარის ხმა.

მუხლი 18. გამგეობის სხდომების აღრიცხვა

1. გამგეობის სხდომის თავმჯდომარე ან გენერალური მდივანი უზრუნველყოფს გამგეობის სხდომის ოქმის შედგენას. სხდომის ოქმს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე. დასაშვებია სხდომაზე დამსწრე სხვა წევრთა ხელმოწერაც.
2. სხდომის თავმჯდომარე პასუხს აგებს სხდომის ოქმის სიზუსტეზე.
3. გამგეობის სხდომები აღრიცხება ფედერაციის გამგეობის სხდომების აღრიცხვის ჟურნალში. ჟურნალში უნდა მიეთითოს:
 - 3.1. სხდომის რიგითი ნომერი;
 - 3.2. სხდომის ჩატარების თარიღი და ადგილი;
 - 3.3. სხდომის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მოკლე შინაარსი.
 - 3.4. ჩანაწერის შემსრულებელი პირის ვინაობა და ხელმოწერა.
4. გამგეობის სხდომების აღრიცხვის ჟურნალის წარმოებას უზრუნველყოფს გენერალური მდივანი.

მუხლი 19. ფედერაციის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება

1. ფედერაციის ერთპიროვნული წარმომადგენლობის უფლებამოსილება მინიჭებული აქვთ გამგეობის თავმჯდომარეს (ფედერაციის პრეზიდენტს), ხოლო პრეზიდენტის არყოფნის შემთხვევაში - ფედერაციის პირველ ვიცე-პრეზიდენტს ან ვიცე-პრეზიდენტს.
2. ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ(ებ)ი და გენერალური მდივანი (ადმინისტრაციული საქმიანობის ხელმძღვანელი პირი) აირჩევა საერთო კრების (ყრილობის) მიერ, პრეზიდენტის წარდგინებით, არაუმეტეს 4 წლის ვადით. ვიცე-

პრეზიდენტისა და გენერალური მდივნისა უფლებამოსილება წყდება ფედერაციის პრეზიდენტის/პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების ვადის ამოწურვისთანავე.

3. გენერალური მდივანი არ არის გამგეობის წევრი.
4. ერთი და იგივე პირი ვიცე-პრეზიდენტი ან გენერალური მდივანი შეიძლება იყოს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.
5. გენერალური მდივნის შრომის ანაზღაურების გაცემისა და ოდენობის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს გამგეობის მიერ. ამასთან, მათი შრომის ანაზღაურების დაფინანსება შეიძლება განხორციელდეს როგორც ფედერაციის საკუთარი შემოსავლებიდან ან არასაბიუჯეტო წყაროებით მოზიდული სახსრებიდან, ასევე, სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებიდან.
6. პრეზიდენტი წარმართავენ ფედერაციის ყოველდღიურ საქმიანობას.
7. პრეზიდენტი:
 - 7.1. ფედერაციის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადაა არაუმეტეს 4 წელი. ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ფედერაციის პრეზიდენტად ზედიზედ მხოლოდ ორჯერ;
 - 7.2. მოქმედებს ფედერაციის სახელით, წარმოადგენს მას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ; ფედერაციის სახელით დებს ხელშეკრულებებს.
 - 7.3. ხელმძღვანელობს პროგრამებისა და პროექტების შედგენას და უზრუნველყოფს მათ შესრულებას;
 - 7.4. ყრილობას დასამტკიცებლად წარუდგენს ფედერაციის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, გეგმებსა და მიზნობრივ პროგრამებს, წლიური საქმიანობის ანგარიშს;
 - 7.5. იწვევს და თავმჯდომარეობს გამგეობის სხდომებს და ხელმძღვანელობს მის საქმიანობას;
 - 7.6. უზრუნველყოფს ყრილობისა და გამგეობის გადაწყვეტილებათა შესრულებას, ანაწილებს ფუნქციებს გამგეობის წევრებს შორის;
 - 7.7. მოითხოვს ანგარიშვალდებულ პირთა ანგარიშს მათი საქმიანობის შესახებ;
 - 7.8. უზრუნველყოფს საქმისწარმოებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
 - 7.9. ასრულებს ამ წესდებით დადგენილ სხვა ფუნქციებს.
8. ფედერაციის პრეზიდენტის/პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე, შესაბამის გონივრულ ვადაში, მაგრამ აღნიშნული ვადის ამოწურვამდე არა უგვიანეს 45 დღისა, ფედერაციის პრეზიდენტი/პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ან გამგეობა ვალდებულია, მოიწვიოს საერთო კრება (ყრილობა) და აირჩიოს ფედერაციის ახალი პრეზიდენტი, ფედერაციის წესდებით საერთო კრების (ყრილობის) მოწვევისა და ჩატარებისთვის გათვალისწინებულ ვადებში და იმ პირობის დაცვით, რომ საერთო კრებამდე (ყრილობამდე) მოქმედი პრეზიდენტის/პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების ამოწურვისთანავე, ახლად არჩეული პრეზიდენტი შეუდგება უფლებამოსილებების განხორციელებას.
9. ფედერაციის პრეზიდენტის ვადამდე გადადგომის/გადაყენების, ან სხვა რაიმე მიზეზით უფლებამოსილების შეწყვეტის ან უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, ფედერაციის საერთო კრების (ყრილობის) მიერ ახალი პრეზიდენტის არჩევამდე პერიოდში, ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობას (შემდგომ მითითებული რიგითობით) ასრულებს: ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ან გენერალური მდივანი ან ფედერაციის გამგეობის უხუცესი წევრი. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის მიერ აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, მას ჩაანაცვლებს ამ პუნქტში მითითებული რიგითობით მომდევნო სხვა პირი, ამ მუხლის მე-10 პუნქტში განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით.
10. ამ მუხლის მე-9 პუნქტში მითითებული პირი ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს 3 თვის ვადით. მოცემული ვადა, გამგეობის დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე, შესაძლებელია გაგრძელდეს მხოლოდ ერთხელ, არაუმეტეს 3 თვით. დაუშვებელია, პირი ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდეს ჯამურად 6 თვეზე მეტი ვადით. ამასთან, მოცემული დანაწესი ეხება იმ შემთხვევას, როდესაც ამ მუხლის მე-9 პუნქტში მითითებული გარემოება დგება იმ პერიოდში, როდესაც პრეზიდენტის

უფლებამოსილების ამოწურვამდე დარჩენილი იყო 6 თვეზე მეტი ვადა. თუ პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე დარჩენილია 6 თვეზე ნაკლები პერიოდი, ამ მუხლის მე-9 პუნქტში მითითებული გარემოების დადგომის შემთხვევაში, პირი ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს არა უმეტეს პრეზიდენტის უფლებამოსილების ამოწურვამდე დარჩენილი ვადით.

11. ამ მუხლის მე-9 პუნქტში გათვალისწინებულ შემთხვევაში, რიგგარეშე ყრილობის მოწვევა და ახალი პრეზიდენტის არჩევა უნდა მოხდეს ამ მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი წესით და მე-10 პუნქტში მითითებული ვადების დაცვით.
12. თუ ამ მუხლის მე-9, მე-10 და მე-11 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებსა და განსაზღვრულ ვადებში ვერ მოხდება საერთო კრების (ყრილობის) ჩატარება ან/და ახალი პრეზიდენტის არჩევა, პრეზიდენტის/პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების ვადის ამოწურვისთანავე, მასთან ერთად უფლებამოსილება უწყდებათ ვიცე-პრეზიდენტ(ებ)ს, გენერალურ მდივანსა და გამგეობას. მოცემულ შემთხვევაში, ფედერაციის მოქმედ წევრთა არანაკლებ 25%, ფედერაციის ახალი პრეზიდენტის ასარჩევად, დაუყოვნებლივ იწვევს რიგგარეშე საერთო კრებას (ყრილობას), რომელიც უნდა ჩატარდეს პრეზიდენტის/პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 2 თვის ვადაში.
13. ამ მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, რიგგარეშე საერთო კრების (ყრილობის) მომწვევი ფედერაციის წევრები (მოქმედ წევრთა არანაკლებ 25%) ქმნიან საინიციატივო ჯგუფს (არაუმეტეს 5 პირის შემადგენლობით), რომელიც უზრუნველყოფს საერთო კრების (ყრილობის) ჩატარებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო-ტექნიკური საკითხების გადაწყვეტას.
14. ფედერაციის ხელმძღვანელების (პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტ(ებ)ი და გენერალური მდივანი) უფლებამოსილების „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად შეჩერებისას, ფედერაციის გამგეობა ან ფედერაციის მოქმედ წევრთა არანაკლებ 25%, ფედერაციის ახალი პრეზიდენტის ასარჩევად, დაუყოვნებლივ იწვევს რიგგარეშე (საგანგებო) საერთო კრებას (ყრილობას), რომელიც უნდა ჩატარდეს ფედერაციის ხელმძღვანელების უფლებამოსილების შეჩერებიდან არაუგვიანეს 2 თვის ვადაში.
15. თუ ამ მუხლის მე-11, მე-12, მე-13 და მე-14 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებსა და ვადებში, ვერ განხორციელდება ამავე პუნქტებით განსაზღვრული საერთო კრების (ყრილობის) ჩატარება ან/და ახალი პრეზიდენტის არჩევა, იწყება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი პროცედურები, ფედერაციის ლიკვიდაციის პროცესის განსახორციელებლად.
16. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მოთხოვნისამებრ, ფედერაციის პრეზიდენტის/პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის მიერ წარდგენილ უნდა იქნეს ინფორმაცია ფედერაციის საშტატო ნუსხის, სახელფასო ფონდის, გასაწევი ხარჯებისა (მაგ.: საკომუნიკაციო, საწვავის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვ.) და დაფინანსების სხვა ალტერნატიული წყაროების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ.
17. პრეზიდენტთან შეიძლება შეიქმნას პრეზიდენტის აპარატი, რომლის დებულებას, საშტატო განრიგსა და სტრუქტურას ამტკიცებს გამგეობა.
18. ფედერაციის პრეზიდენტის, პირველი ვიცე-პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტისა და გენერალური მდივნის დეტალური ფუნქციები შეიძლება დგინდებოდეს გამგეობის დებულებით, რომელსაც პრეზიდენტის წარდგინებით ამტკიცებს გამგეობა. დებულების არსებობა არ არის სავალდებულო.

მუხლი 20. სავალდებულო სტრუქტურები

1. ფედერაცია ვალდებულია შექმნას და მუდმივად ჰყავდეს შემდეგი კომიტეტები:
 - 1.1. მსაჯთა კომიტეტი;
 - 1.2. განვითარების კომიტეტი;
 - 1.3. ქალთა კომიტეტი;

- 1.4. ვეტერანთა კომიტეტი;
 - 1.5. სპორტსმენთა კომიტეტი;
 - 1.6. საფინანსო კომიტეტი;
 - 1.7. დოპინგის კომიტეტი;
 - 1.8. მწვრთნელთა კომიტეტი;
 - 1.9. მედია კომიტეტი;
 - 1.10. კროსის კომიტეტი;
 - 1.11. მარკეტინგის კომიტეტი.
2. კომიტეტები იქმნება გამგეობის გადაწყვეტილებით.
 3. კომიტეტების ფორმირებისა და ფუნქციონირების წესი, აგრეთვე უფლებამოსილება დგინდება შესაბამისი კომიტეტის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს გამგეობა.
 4. კომიტეტის თავმჯდომარის კანდიდატურას წარადგენს პრეზიდენტი და ამტკიცებს გამგეობა.
 5. ფედერაციასთან შეიძლება არსებობდეს მრჩეველთა საბჭო, რომელიც შედგება მძლეოსნობაში ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებისა და პრიზიორებისაგან.
 6. მრჩეველთა საბჭოს ხელმძღვანელს ან საბჭოსგან უფლებამოსილ სხვა პირს უფლება აქვს სათათბირო ხმის უფლებით დაესწროს გამგეობის სხდომებს.
 7. მრჩეველთა საბჭოს უფლება აქვს რეკომენდაციით მიმართოს გამგეობას, ყრილობას და კომიტეტებს. სავალდებულოა ამ რეკომენდაციების განხილვა.
 8. მრჩეველთა საბჭოს დებულებას ამტკიცებს გამგეობა.
 9. გამგეობის გადაწყვეტილებით შეიძლება შეიქმნას ფედერაციასთან არსებული სხვა სტრუქტურები (რბენის მოყვარულთა კლუბები და სხვა).

მუხლი 21. ფედერაციის ტერიტორიული სტრუქტურები

1. ფედერაციას შეიძლება ჰქონდეს ტერიტორიული სტრუქტურული ერთეულები - მძლეოსნობის რეგიონული ფედერაციები.
2. მძლეოსნობის რეგიონული ფედერაცია არის ფედერაციის ფილიალი და იგი არ არის იურიდიული პირი.
3. მძლეოსნობის რეგიონული ფედერაციები იქმნება და უქმდება გამგეობის გადაწყვეტილებით.
4. მძლეოსნობის რეგიონული ფედერაციების ფორმირებისა და ფუნქციონირების წესი, აგრეთვე უფლებამოსილება დგინდება მძლეოსნობის რეგიონული ფედერაციების ტიპური დებულებით, რომელსაც ამტკიცებს გამგეობა.
5. გამგეობის გადაწყვეტილებით შეიძლება შეიქმნას შემდეგი მძლეოსნობის რეგიონული ფედერაციები:
 - 5.1. თბილისის რეგიონული ფედერაცია;
 - 5.2. აფხაზეთის რეგიონული ფედერაცია;
 - 5.3. აჭარის რეგიონული ფედერაცია;
 - 5.4. გურიის რეგიონული ფედერაცია;
 - 5.5. იმერეთის რეგიონული ფედერაცია;
 - 5.6. სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონული ფედერაცია;
 - 5.7. შიდა ქართლის რეგიონული ფედერაცია;
 - 5.8. სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ფედერაცია;
 - 5.9. ქვემო ქართლის რეგიონული ფედერაცია;
 - 5.10. მცხეთა - მთიანეთის რეგიონული ფედერაცია;
 - 5.11. კახეთის რეგიონული ფედერაცია;
 - 5.12. სამხრეთ ოსეთის რეგიონული ფედერაცია;
 - 5.13. რაჭა-ლეჩხუმის რეგიონული ფედერაცია;

თავი IV. წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი;
ფედერაციის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია; დასკვნითი დებულებანი

მუხლი 22. ცვლილებები წესდებაში. სარეგისტრაციო ფაქტები

1. ცვლილებები ფედერაციის წესდებაში ხორციელდება ამ წესდებით დადგენილი წესით.
2. ნებისმიერი ცვლილება, რომელიც წარმოადგენს სარეგისტრაციო ფაქტს, სათანოდოდ დამოწმებული სახით უნდა წარედგინოს მარეგისტრირებელ ორგანოს.
3. ფედერაციის გამგეობა ან პრეზიდენტი ვალდებულია უზრუნველყოს სარეგისტრაციო ფაქტების წარდგენა მარეგისტრირებელი ორგანოსათვის.
4. კეთილსინდისიერი მესამე პირების მიმართ ნებისმიერი სარეგისტრაციო ფაქტი ძალმოსილია მხოლოდ მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

მუხლი 23. ფედერაციის რეორგანიზაცია; ლიკვიდაცია

1. ფედერაციის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება ყრილობის გადაწყვეტილებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.
2. ინფორმაცია ლიკვიდაციის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს. ლიკვიდაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. ლიკვიდაციის დროს უნდა დამთავრდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები.
3. ფედერაციის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება გადაეცემა ერთ ან რამდენიმე არაკომერციულ (არასამეწარმეო) იურიდიულ პირს, რომელსაც/რომელთაც აქვს/აქვთ ფედერაციის მსგავსი მიზნები. ქონების მიღებაზე უფლებამოსილ კონკრეტულ სუბიექტს ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტში ადგენს ფედერაციის ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები ორგანო. თუ არ დადგინდა ქონების მიღებაზე უფლებამოსილი კონკრეტული სუბიექტი, მაშინ ქონება განაწილდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 24. დავის გადაწყვეტა

1. ფედერაციის წევრებს, ასევე ფედერაციასა და მის წევრებს შორის წარმოქმნილი დავა გადაწყდება სასამართლოში.
2. ფედერაციასა და მესამე პირებს შორის წარმოშობილი დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 25. დასკვნითი დებულებები

1. თუ ნებისმიერი მიზეზით ბათილად გამოცხადდება წინამდებარე წესდების ერთი ან მეტი დებულება, ეს არ გამოიწვევს მთლიანად წესდების ბათილობას. ასეთ შემთხვევაში, დანარჩენი დებულებები ძალაში დარჩება ბათილი დებულებების გარეშე.

ფედერაციის პრეზიდენტი

ალექსი ახვლედიანი -----

ფედერაციის მდივანი

მარიამ ინაშვილი -----